პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი)

2019

კოლეჯის დირექტორის მიმართვა

საქართველოს როგორც არასდროს სჭირდება განათლებული და კვალიფიციური ახალგაზრდა თაობა. განათლება არ მოიცავს მხოლოდ უმაღლეს და აკადემიურ განათლებას. დღევანდელმა რეალობამ დაგვანახა, რომ აუცილებელია ქვეყანაში განვითარდეს თანამაედროვე სტანდარტებზე დაფუძნებული და ბიზნესთან ინტეგრირებული პროფესიული განათლება.

ჩვენი კოლეჯი, რომელიც 1992 წლიდან არსებობს და ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობას ქვეყნის ერთ-ერთ მრავალეთნიკურ რეგიონში - ქალაქ მარნეულში, მუდმივად ცდილობს, ფეხი აუწყოს თანამედროვეობის მოთხოვნებს, შესთავაზოს დაინტერესებულ პირებს ისეთი პირობები, სადაც ყველა მოახდენს საკუთარი ინტელექტუალური და ფიზიკური შესაძლებლობების გამოვლინებას. ჩვენი დახმარებით თქვენ შეძლებთ მიიღოთ კვალიფიციური პროფესიული განათლება, ჩაერთოთ ქვეყნისათვის და რეგიონისათვის მნიშვნელოვან პროექტებში, გააძლიეროთ თქვენი სუსტი და უფრო გაამყაროთ ძლიერი მხარეები, ჩაერთოთ ჯგუფურ მუშაობაში და დახვეწოთ ინდივიდუალური შესაძლებლობები.

ჩვენი კოლეჯის მუშაობა გუნდურობის პრინციპზეა აგებული, ამიტომაც, ყოველი შეკითხვა, პრობლემა თუ, უბრალოდ, საკითხი კოლეჯის გუნდის მიერ შემუშავდება და გადაიჭრება.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია თითოეული სტუდენტისა და მსმენელის აზრი, ხედვა. ვცდილობთ, რომ ყველა იმ ახალგაზრდას, ვინც ჩვენს კოლეჯში დაფრთიანდება, მიეცეს მაქსიმალური შესაძლებლობა, მოახმაროს აქ მიღებული ცოდნა და უნარები ქალაქს, რეგიონს, სახელმწიფოს.

ჩვენი ისტორია

ჩვენი ისტორია

მარნეულის კოლეჯი 1992 წელს დაარსდა საქართველოს ექიმთა ასოციაციის ინიციატივითა და ხელშეწყობით. დაარსების დღიდან დღემდე კოლეჯს სათავეში უდგას დირექტორი ირაკლი გომელაური.

საქართველოს განალების სამინისტროს 1992 წლის 29 აპრილს სასწავლებელს მიენიჭა საშუალო განათლების სპეციალური ლიცენზია #01-17-08/457.

2008 წლის 21 ივლისს პროფესიული განათლების სფეროში განხორციელებული რეფორმის შესაბამისად კოლეჯმა მოიპოვა ახალი #0813099 ლიცენზია, რომლის საფუძველზე ახორციელებდა პროფესიულ პროგრამებს. პროფესიული საგანმნათლებლო დაწესებულებეის ავტორიზაციის საბჭოს #2 გადაწყვეტილებით 2013 წლის 26 ივლისს სასწავლებელს მიენიჭა საზოგადოებრივი კოლეჯის სტატუსი.

2018 წელს პროფესიული საგანმნათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 23 ივლისის გადაწყვეტილებით ჩვენს კოლეჯს წლის ვადით მიენიჭა საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი.

კოლეჯი განახორციელებს საგნობრივ (მილევად რეჟიმში) და ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს

საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

პრაქტიკოსი ექთანი; ფარმაცევტის თანაშემწე;

ექთნის თანაშემწე

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები (მოდულური)

აღმზრდელი;

პრაქტიკოსი ექთანი;

საოფისე საქმე;

საფინანსო სერვისები

პ ა რ ტ ნ ი ო რ ე ბ ი

მარნეულის კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა ორგანიზაციასთან. კოლეჯის პარტნიორები არიან:

- ქალაქ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო,
- ქალაქ მარნეულის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი,
- ქალაქ მარნულის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი,
- საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაცია,
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი,
- ქალაქ მარნეული მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი,
- შიდსით დაავადებულთა დახმარების ფონდი,
- შპს „ ავერსის კლინიკა“,
- შპს „ჯეო-ჰოსპიტალი“,
- სს „ტერა ბანკი“
- სს გეფას სააფთიაქო ქსელი
- სს სადაზღვევო კომპანია პრაიმი
- საქართველოს კარიტასი,
- შპს მარნეულის სარაიონთაშორისო საავადმყოფო,
- შ.პ.ს. „მარნეულის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანება“,
- შპს აფთიაქი კრალი,
- ი/მ ლია ჭიღლაძის აფთიაქი,
- ი/მ ზაქირ მურსაკულოვის აფთიაქი,
- ი/მ მაია კაბულოვას აფთიაქი,
- შპს კრალ-XXI-ის სავაჭრო ობიექტი,
- შპს პანდას სავაჭრო ობიექტი;
- ი/მ ზამირა მუსტაფაევა -ს ვეტერინარიული აფთიაქი და მაღაზია;
- ი/მ სამირა მუსტაფაევას აფთიაქი;
- ი/მ ფატმა გულიევას აფთიაქი
- ი/მ რაუფ ალიევის აფთიაქი
- შპს ელ-სტარის აფთიაქი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ექთნის თანაშემწის III საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ექთნის თანაშემწის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროფესიული განათლების საფეხური: III საფეხური

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად - ზოგადი განათლების საბაზო საფეხური, კონკურსის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭებათ აპლიკანტებს, რომელთაც აქვთ მაღალი შეფასება ბიოლოგიაში.

პროგრამის მიზანი – პროგრამის მიზანია მოამზადოს კვალიფიციური სამედიცინო მუშაკი, რომელსაც ეცოდინება საექთნო მოვლის ასისტირების მიზნები და ამოცანები; ასისტირების ძირითადი საშუალებები, ფორმები და მეთოდები; ურთიერთობის ფსიქოლოგია და ეთიკის ნორმები; რომელსაც შეუძლია საკუთარი თავისა და მოსავლელი ობიექტის დაცვა ინფექციის კერაში; პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა. რომელსაც ექნება პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო ბაზისური და კლინიკური ცოდნა და უნარები.

სწავლის შედეგი

გაცნობიერებული აქვს საექთნო მოვლის ასისტირების მიზნები და ამოცანები; ფლობს ასისტირების ძირითად საშუალებებს, ფორმებსა და მეთოდებს, აქვს ინფორმაცია წამლების ორგანიზმზე ზემოქმედების გვერდითი ეფექტების შესახებ. შეუძლია პირველადი სამედიცინო დახმარება, ინფექციის კონტროლი, სასიცოცხლო ფუნქციების მონიტორინგი.

შეუძლია: მოვლის პროცესში პაციენტის ასაკის, დაავადების მიმდინარეობისა და სპეციფიკის გათვალისწინება; პაციენტის ხელშეწყობა საკუთარი თავის მომსახურების უნარების განვითარებასა და სწავლაში. დეზინფექციის ჩატარება, კონცენტრირებული ხსნარების დამზადების წესის ჩათვლით; სხვადასხვა ასაკის პაციენტის მოვლა (სირთულის მიხედვით); პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა; საკუთარი სამუშაოს გეგმის შედგენა და მისი თანწყობა სამედიცინო გუნდის წევრების სამუშაო გეგმასთან. შეუძლია ფიზიკური საჭიროებების იდენტიფიცირება; იცის პაციენტის უფლებები და უწევს ანგარიშს; შეუძლია დღიურის წარმოება და ინფორმაციის შენახვა; ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური ღონისძიებების გატარება;

მოსავლელი პირის კვება, დაბანა, აბაზანის გაკეთება, ჩაცმა, საწოლის გამზადება ტრანსპორტირება. გარეგანი მანიპულაციების ჩატარება; ნაწოლების პრევენცია; დაინფიცირებული ჭრილობის, წყლულების, ნაწოლების მოვლა. განავლის მიმღები და შარდმიმრები სისტემების გამოცვლა, უტილიზაცია. მწოლიარე პაციენტისათვის მოსახერხებელი გარემოს შექმნა, თეთრეულის გამოცვლა. შეუძლია ექიმის ან ექთნის დახმარება დესმურგიის მიმდინარეობისას; შეუძლია დახმარება წამლების დარიგების დროს. სასიცოცხლო ფუნქციების მონიტორინგი; უწევს ასისტირებას სტერილური მანიპულაციების დროს, უშუალოდ ასრულებს სუფთა მანიპულაციებს. პრეოპერაციულად პაციენტის მომზადება (კანის ჰიგიენა, ანტისეპტიკური დამუშავება).

დასაქმების სფეროები – ექთნის თანაშემწის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს სტაციონარში, ჰოსპისში, ბინის პირობებში ან/და მომვლელად მგზავრობა-მოგზაურობის დროს; ხანგრძლივი სამედიცინო მომსახურების დაწესებულებაში (მოხუცთა თავშესაფარი, ბავშვთა სახლები), ბინაზე მოვლის სამსახური.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:

ფარმაცევტის თანაშემწის V საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ფარმაცევტის თანაშემწე

პროფესიული განათლების საფეხური: V საფეხური

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფარმაცევტის თანაშემწის V საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროგრამაზე მიღების წინაპირობა: ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა -კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად სრული ზოგადი განათლება, კონკურსის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭებათ აპლიკანტებს, რომელთაც აქვთ მაღალი შეფასება ქიმიაში.

პროფესიული პროგრამის მიზანი – პროგრამის მიზანია მოამზადოს კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი კადრი, რომელსაც ექნება ფარმაცევტული საქმიანობისათვის საჭირო ბაზისური და კლინიკური ცოდნა და უნარები, რისი აქტუალობაც დადასტურებულია შესაბამის დამსაქმებლებთან და დარგის სპეციალისტებთან გამართული კონსულტაციების შედეგად, რომელიც შეძლებს გამოიყენოს პროფესიული საქმიანობის სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, რომელსაც შეუძლია აფთიაქში და სხვა ფარმაცევტულ დაწესებულებებში მუშაობა პროფესიული მოთხოვნების შესაბამისად და უსაფრთხოების წესების დაცვით; ფარმაცევტული ნედლეულის, მასალების, სამკურნალო და მოვლის საშუალებების სათანადო მოვლა: დახარისხება, მარკირება, დაბინავება, დაფასოება; შეუძლია შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა, მიიღოს სწრაფი და ადეკვატური გადაწყვეტილება; პროგრამის მიზანი შეესაბამება დაწესებულების მისიას და ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე.

სწავლის შედეგი

იცნობს ფარმაცევტულ წარმოებაში და ანალიზურ ლაბორატორიაში უსაფრთხოდ მუშაობის წესებს; იცის ფარმაცევტული ხსნარების, ფხვნილების, გამონაცემების. მონახარშების, მალამოების საჭიროებისამებრ მომზადების ზოგადი თეორიული საფუძვლები; იცნობს წამლის ხარისხის კონტროლის და ქიმიურ ტოქსიკოლოგიური ანალიზის ზოგად თეორიულ საფუძვლებს; იცის წარმოების საწყობში შემოსული ნედლეულისა და მასალების მირება, აღრიცხვა; იცის წარმოების პროცესის დაწყებით სტადიაზე (დამხმარე სამუშაოები) ნედლეულისა და მასალების მომზადების (აწონვა, დაწვრილმანება, გაცრა, სერევა, სხვადასხვა გამხსნელების მომზადება, გახსნა, აორთქლება, შრობა და ა. შ.) თეორიული საფუძვლები; იცის მომზადებული პროდუქტის დაფასოება, შეფუთვა, მარკირება; იცის ფარმაცევტული პროდუქციის (მედიკამენტები, ბიოლოგიურად აქტიური დანამატების, პარასამკურნალო საშუალებების, სამედიცინო დანიშნულების საქონლის საგნების, მასალების, შემავსებელის, დამხმარე და ძირითადი ნივთიერებების მიღება-განთავსება, შენახვის პირობების უზრუნველყოფა, სერიული აღრიცხვა და ვარგისობის ვადის კონტროლი; აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის დროს წამოჭრილი პრობლემების ხასიათსა და სირთულეს პოულობს გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს.

შეუძლია ფარმაცევტული ხსნარების, ფხვნილების, გამონაცემების, მონახარშების, მალამოების დამზადება აფთიაქში, ექიმის რეცეპტის შესაბამისად, ფარმაციის ბაკალავრის ან მაგისტრის მეთვალყურეობით; წარმოების საწყობში შემოსული ნედლეულისა და მასალების მიღება, აღრიცხვა; მცენარეული, ცხოველური და მინერალური ნედლეულის დამზადება, შრობა, შენახვა, პირველადი დამუშავება (დაწვრილმანება, გაცრა, შერევა). სხვადასხვა გამხსნელების მომზადება, გახსნა, აორთქლება, შრობა; ტექნოლოგიური ოპერაციების (დაფასოება, შეფუთვა-მარკირება) განხორციელებაში მონაწილეობა; ფარმაცევტული პროდუქციის (მედიკამენტები, ბიოლოგიურად აქტიური დანამატები, პარასამკურნალო საშუალებები), სამედიცინო დანიშნულების საქონლის-საგნების, მასალების, შემავსებელი, დამხმარე და ძირითადი ნივთიერებების მიღება-განთავსება,

შენახვის პირობების უზრუნველყოფა და ვარგისობის ვადის კონტროლი; მეორე და მესამე ჯგუფისათვის მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის რეალიზაცია; ფარმაცევტული ანალიზისათვის ლაბორატორიის მომზადება; რეაქტივების, ინდიკატორების, ტიტრიანი ხსნარების, ბუფერული ხსნარების მომზადება შესაბამისი ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტის მიხედვით, ფარმაციის ბაკალავრის ან მაგისტრის მეთვალყურეობით; ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ანალიზის ობიექტების გარეგნული დათვალიერება, შეფასება, სინჯების არება და დამუშავება. წამლის ხარისხის კონტროლის და ქიმიურ ტოქსიკოლოგიური ანალიზის განხორციელება ფარმაციის ბაკალავრის ან მაგისტრის მეთვალყურეობით, დოკუმენტაციის წარმოება. მეორე და მესამე ჯგუფის პრეპარატების გაცემა დამოუკიდებლად; სხვებისათვის საკუთარი ცოდნის გადაცემა.

დასაქმების სფერო – ფარმაცევტის თანაშემწის V საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია იმუშაოს სააფთიაქო, სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში, ფარმაცევტულ ბაზებში, ფარმაცევტული პროდუქციის საწარმოებში, ქიმიურ-ტოქსიკოლოგიურ, წამლის ხარისხის კონტროლის ლაბორატორიებში, სტომატოლოგიურ და სამედიცინო ტექნიკის მაღაზიებში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:

პრაქტიკოსი ექთნის V საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: პრაქტიკოსი ექთანი

პროფესიული განათლების საფეხური: V საფეხური

პროგრამაზე მიღების წინაპირობა: პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა -კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად სრული ზოგადი განათლება, კონკურსის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭებათ აპლიკანტებს, რომელთაც აქვთ მაღალი შეფასება ბიოლოგიაში.

პროფესიული პროგრამის მიზანი – პრაქტიკოსი ექთნის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:

- მისცეს სტუდენტს საექთნო საქმისთვის საჭირო ბაზისური თეორიული ცოდნა და კლინიკური უნარ–ჩვევები, რის საფუძველზეც წარმატებით და გაცნობიერებულად შეასრულებს პრაქტიკოსი ექთნისპროფესიულ როლსადა ფუნქციებს;
- იცოდეს დაგაცნობიერებული ჰქონდეს საექთნოსაქმის ძირითადი ღირებულებები, ეთიკური და სამართლებრივი ასპექტები

სწავლის შედეგი

იცის და გაცნობიერებული აქვს საექთნო საქმის ძირითადი ღირებულებები, ეთიკური და სამართლებრივი ასპექტები; იცის საექთნო საქმის სოციალური, კულტურული, სულიერი, ეკონომიკურ–პოლიტიკური ასპექტები; იცნობს ქვეყნის ჯანდაცვის სისტემას და გაცნობიერებული აქვს პრაქტიკოსი ექთნის დანიშნულება; იცნობს უსაფრთხოების წესებს, ინფექციის კონტროლის პრინციპებს და გაცნობიერებული აქვს ამ პრინციპების დაცვის აუცილებლობა უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით; უზრუნველყოფს პაციენტთა ტრიაჟს, პირველად საექთნო შეფასებას და მონიტორინგს; ფლობს გადაუდებელი მე-დიცინის საფუძვლებს (**BLS, ACLS, PHTLS, ATLS**); იცნობს თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებს; იცნობს ინფორმაციის რეგისტრაციის, შენახვისა და გავრცელების პრინციპებს; გაცნობიერებული აქვს პრაქტიკოსი ექთნის როლი ჯანმრთელობის ხელშეწყობასა და უზრუნველყოფაში, როგორც ინდივიდუალურად, ასევე მულტიდისციპლინურ პროფესიულ გუნდში საქმინაობის კონტექსტში; იცის მართვისა და ლიდერობის ძირითადი პრინციპები.

შეუძლია: კლიენტის/პაციენტის ოპტიმალური, უსაფრთხო, კომფორტული და ეთიკური მოვლის/მართვის მაღალი ხარისხით უზრუნველყოფა; კლიენტის/პაციენტის ფიზიკური და ფსიქოსოციალური ჯანმრთელობის ნორმისა და დევიაციის ნიშნების ამოცნობა, ტრიაჟი და პირ-ველადი საექთნო შეფასება, ადექვატური ინტერპრეტაცია და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი ქმედების განხორციელება; კლიენტის/პაციენტის სიცოცხლესთან დაკავშირებული რისკების დროული შეფასება და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი ქმედების განხორციელება; პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევა; კლინიკური უნარ-ჩვევების დემონსტრირება, საექთნო შეფასების, პრობლემის იდენტიფიცირების, გეგმის შემუშავებისა და პრაქტიკაში დანერგვის საფუძველზე; კლიენტის/პაციენტის მართვის გეგმით გათვალისწინებული სხვადასხვა ინვაზიური ჩარევებისა და არაინვაზიური პროცედურების მოვლა/ წარმოება; მასზე დელეგირებული სამკურნალწამლო და სამედიცინო ტექნიკურ და ტექნოლოგიურ საშუალებათა დანიშნულებისამებრ გამოყენება, შენახვა და გამოყენებული მასალის განადგურება უსაფრთხოების წესების დაცვით; კლიენ-ტის/პაციენტის ღირსების, უფლებების დაცვა, ადვოკატირება და ასოცირებული ინფორმაციის კონფიდენციურობის უზრუნველყოფა; კლიენტის/პაციენტის, ოჯახის წევრების ანდა მომვლელის ინფორმირება და განათლება, პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბება საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში; სამედიცინო გუნდში ეფექტური და კოორდინირებული

მუშაობა; დაქვემდებარებული ადამიანური რესურსების ეფექტური სწავლება/განათლება, მართვა, ფუქნციების ადექვატური დელეგირება; შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება, შენახვა, დაცვა, გადაცემა და გავრცელება; საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი სკრინინგ–ტესტების, ადექვატური პრევენციული ღონისძიებების ანდა იმუნიზაციის წარმოება; ჯანმრთელობის ხელშეწყობა ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვის გზით.

დასაქმების სფერო – პრაქტიკოსი ექთნის დასაქმების სფერო მოიცავს სხვადასხვა დონის დიაგნოსტიკურ, სამკურნალო, პროფილაქტიკურ და სარეაბილიტაციო დაწესებულებებს, ჰოსპისებს, ეთიკურ კომიტეტებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს და ქვეყნის კანონმდებლობით განსაზღვრულ სფეროებს.

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (მოდულური)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა პრაქტიკოსი ექთანი

- **პროგრამის მიზანი:**

  მისცეს სტუდენტს საექთნო საქმისთვის საჭირო ბაზისური თეორიული ცოდნა და კლინიკური უნარ–ჩვევები, რის საფუძველზეც წარმატებით შეასრულებს პრაქტიკოსი ექთნის პროფესიულ როლსა და ფუნქციებს, საექთნო საქმის ძირითადი ღირებულებების, ეთიკური და სამართლებრივი ასპექტების გათვალისწინებით.

- **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**

  სრული ზოგადი განათლება

- **მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:**

  პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

- **სწავლის შედეგი:**

  პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- ✓ საექთნო პროცესის მართვა
- ✓ კომუნიკაცია საზოგადოებასთან და ჯანდაცვის გუნდთან
- ✓ ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური ღონისძიებების დაცვა
- ✓ სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება
- ✓ პროფესიული განვითარებისთვის ზრუნვა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - აღმზრდელი

- **მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:** მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში

- **მიზანი:**
  აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია კვალიფიციური კადრის მომზადება, რომელიც შეძლებს ადრეულ და სკოლამდელ ასაკშიბავშვზე ზრუნვას, მის აღზრდასა და განვითარებას. ამ მიზნებისთვის აღმზრდელმა უნდა უზრუნველყოს უსაფრთხო და განმავითარებელი სააღმზრდელო გარემო და ამ პროცესში შეძლოს ბავშვის ოჯახთან, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების კოლექტივთან, სფეროს წარმომადგენლებთან კომუნიკაცია და საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა.

- **დაშვების წინაპირობა:** სრული ზოგადი განათლება

- **კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:**
  პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს აღმზრდელის პოზიციაზე, ასევე იმუშაოს თვითდასაქმებით, აღმზრდელად.

- **მისანიჭებელი კვალიფიკაციის აღწერა - სწავლის შედეგები:**
  აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია: ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვის ჰოლისტური განვითარება, მათი ასაკობრივი თავისებურებების, ინტერესების, ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით;
  მრავალფეროვანი, მასტიმულირებელი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის დაგეგმვა და მართვა;
  ბავშვის განვითარების ხელსემწყობი სტრატეგიების გამოყენება;
  წარმატებული, უსაფრთხო, მხარდამჭერი სააღმზრდელო გარემოს შექმნა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - საოფისე საქმე - office work

- **პროფესიული სპეციალიზაცია და მისანიჭებელი კვალიფიკაცია:**

  კვალიფიკაცია განეკუთნება **„სამდივნო და საოფისე საქმის“** (კოდი 0415) დეტალურ სფეროს - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმეში - Secondary Vocational Qualification in Office Work

- **მიზანი**
  პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს ისეთი პროფესიული პროგრამის დანერგვა, რომელიც მოამზადებს 1. კვალიფიციურ ადმინისტრაციულ დამხმარე პერსონალს, რომელიც შეძლებს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში დაწესებულების აქტივობების დაგეგმვას, მართვასა და დაწესებულების დოკუმენტბრუნვას.

- **დაშვების წინაპირობა**

სრული ზოგადი განათლება

- **კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები**

საოფისე საქმის სპეციალიზაციის მქონე პირს შეუძლია დასაქმდეს საჯარო და კერძო დაწესებულებებში ოფისის მენეჯერად, ხელმძღვანელის თანაშემწედ, მდივნად. დოკუმენტაციის წარმოებასა და გარკვეული ორგანიზაციული ქვედანაყოფების ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულის სპეციალისტად და დამხმარე მუშაკებად.
იმ პირებმა, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია,

მოცულობა - 89 კრედიტი
სავარაუდო ხანგრძლივობა - 16 თვე

იმ პირებმა, რომლებსაც უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია,

მოცულობა - 59 კრედიტი
სავარაუდო ხანგრძლივობა - 11 თვე

- **მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამი სწავლის შედეგები**

კურსდამთავრებულს შეუძლია:
დაგეგმოს შეხვედრები და მივლინებები;
მონაწილეობა მიიღოს ბიუჯეტის დაგეგმვაში;
აწარმოოს მიმოწერა სხვადასხვა საკითხებზე;
მოამზადოს დოკუმენტების პროექტები;
მართოს ორგანიზაციის დოკუმენტბრუნვა;
კოორდინირება გაუწიოს ორგანიზაციული ქვედანაყოფების საქმიანობას;
უზრუნველყოს ინფორმაციის გაცვლა ორგანიზაციის სხვადასხვა ქვეგანყოფილებას შორის.

- **სახელწოდება -** საფინანსო სერვისები - Finance services

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - მისანიჭებელი კვალიფიკაცია - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში / Basic Vocational Qualification in Finance Services

განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის მიხედვით აღნიშნული კვალიფიკაცია განეკუთვნება დეტალურ სფეროს - „ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა“ (კოდი 0412).

- **მიზანი** - პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს ისეთი პროფესიული პროგრამის დანერგვა, რომელიც მოამზადებს კვალიფიციური საფინანსო სერვისების პერსონალს, რომელიც შეძლებს სხვადასხვა ტიპის საფინანსო მომსახურების გაწევასა და მომხმარებლის საფინანსო სერვისებთან დაკავშირებულ ინფორმირებას. ასევე, საფინანსო სერვისების პროგრამის დანერგვა-განხორციელების ხელშეწყობა.

- **დაშვების წინაპირობა/წინაპირობები** - საბაზო განათლება და არანაკლებ 17 წელი

- **კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები**
- საფინანსო სერვისებში მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირი შესაძლებელია დასაქმდეს სხვადასხვა სავაჭრო ობიექტების მოლარედ, მათ შორის - ბილეთების გაყიდვების სალაროებში; ბანკებსა და არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო დაწესებილებებში მოლრისა და ოპერატორის პოზიციაზე, ასევე ნივთების დაგირავებითა და ფულადი თანხების გაცემით დაკავებული აგენტებისა და ბუკმეკერების პოზიციებზე.

მ პირებმა, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია,

მოცულობა - 66 კრედიტი

სავარაუდო ხანგრძლივობა - 12 თვე

იმ პირებმა, რომლებსაც უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია,

მოცულობა - 51 კრედიტი

სავარაუდო ხანგრძლივობა - 9 თვე

- **მისანიჭებელი კვალიფიკაციის აღწერა - სწავლის შედეგები**

პირს შეუძლია:
აწარმოოს ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორება სავაჭრო და საბანკო დაწესებულებებში;
განახორციელოს სალარო და საბანკო ოპერაციები;
შესთავაზოს კლიენტებს საბანკო პროდუქტები;
ეფექტურად მოემსახუროს კლიენტებს.

გარდა ჩამოთვლილი საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამებისა, კოლეჯი უახლოეს მომავალში აპირებს განახორციელოს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექნილი შემდეგი საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამები:

- ფარმაცია სააფთიაქო
- ინფორმაციის ტექნოლოგია
- საექთნო განათლება

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ფარმაცია სააფთიაქო

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ა) ასოცირებული ხარისხი ფარმაციაში / Associate Degree in Pharmacy
ბ) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში/Fifth Level Vocational Qualification in Pharmacy

აღნიშნული კვალიფიკაციაგანათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - ,,ფარმაცია", კოდი 0916, აღმწერი - ,, შეისწავლის წამლებს და ადამიანზე მათ გავლენას. მოიცავს წამლის მომზადებას, განაწილებასა და ადმინისტრიებას."

მიზანი:
პროგრმის სმიზანია, ჯანდაცვის სფეროსთვის უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდა, კერძოდ, ისეთი პროფესიული კადრების მომზადება, რომლებიც შეძლებენ ფარმაცევტული და პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღების–განთავსების, აღწერის, პარაფარმაცევტული პროდუქციის შერჩევა-მიწოდების პროცესში მონაწილეობას, ნაშთების პერიოდულ კონტროლს, მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმის დაფასოებას, რეცეპტის მიხედვით წამლის მომზადებას და ურეცეპტოდ გასაცემი ფარმაცევტული პროდუქციის რეალიზაციას;

დაშვების წინაპირობა/წინაპირობები -სრული ზოგადი განათლება.

კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები

ფარმაციაში ასოცირებული ხარისხის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ფარმაცევტის/ფარმაცევტის თანაშემწის პოზიციაზე აფთიაქებში (ავტორიზებულ აფთიაქში, სპეციალიზებულ და საცალო რეალიზაციის სავაჭრო ობიექტში), საბითუმო რეალიზაციის ობიექტზე, სამედიცინო და ფარმაცევტული ტექნიკის მაღაზიებში.

მისანიჭებელი კვალიფიკაციის აღწერა - სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულ სშეუძლია:

- შეამოწმოს პროდუქცია ვიზუალურად
- დაადგინოს თანხმლებ დოკუმენტაციასთან იგივეობა
- შეამოწმოს სასაქონლო ნიშნები და რაოდენობა
- განათავსოს პროდუქციასათანადო ადგილზე
- ჩაატაროს სააფთიაქო ნაშთის პერიოდული კონტროლი
- განახორციელოს ორიგინალური შეფუთვის მცირე შეფუთვებად დაფასოება–მარკირება
- მომზადება რეცეპტის მიხედვით სითხოვანი, მყარი და რბილი წამლის ფორმები
- გათვალისწინოს მომხმარებელთან ურთიერთობისას ფარმაცევტული ეთიკის და დეონტოლოგიის პრინციპები
- განახორციელოს მომხმარებლისათვის სასურველი პროდუქციის შერჩევა-მიწოდება,კონსულტაციის გაწევა პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღების, გამოყენების და შენახვის პირობების შესახებ
- განახორციელოს ურეცეპტოდ გასაცემი ფარმაცევტული პროდუქციის რეალიზაცია
- განახორციელოს ანგარიშის მომზადება–ჩაბარება პროდუქციის მიღების, ნაშთის პერიოდული შემოწმების, ექსტემპორალური წამლის ფორმების მომზადების, მცირე შეფუთვებად წამლის ფორმების დაფასოების შესახებ
- დაიცვას სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები, გარემოსა და უსაფრთხოების წესები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა -ინფორმაციის ტექნოლოგია/Information Technology

მისანიჭებელი კვალიფიკაცია- საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში / Basic Vocational Qualification in Information Technology Support;

განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორში აღნიშნული კვალიფიკაცია შეესაბამება - „ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები, მონაცემთა ბაზების, ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება“(კოდი 0612).

მიზანი

პროგრამის მიზანია, შემუშავებულ იქნას ისეთი პროფესიული პროგრამა, რომელიც ინფორმაციის ტექნოლოგიების სფეროსთვის უზრუნველყოფს კონკურენტუნარიან კადრის აღზრდას; პერსონალური კომპიუტერის აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის კვალიფიცირებული სპეციალისტის მომზადებას, რომელიც ფლობს აპარატურული უზრუნველყოფისა და ოპერაციული სისტემების დაყენების, განახლების, დაზიანებების

აღმოფხვრის, ოპტიმიზაციის, დიაგნოსტირებისა და მომსახურებისათვის საჭირო სპეციალურ ტექნიკურ უნარ-ჩვევებს; აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.

დაშვების წინაპირობა/წინაპირობები - საბაზო განათლება

კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები

კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს ტექნიკური მხარდაჭერის სპეციალისტად ნებისმიერ სახელწიფო/მუნიციპალურ ორგანიზაციაში ან/და კერძო კომპანიაში, სადაც გამოიყენება ინფორმაციული ტექნოლოგიები.

მისანიჭებელი კვალიფიკაციის აღწერა - სწავლის შედეგები

1. ააწყოს და დააკომპლექტოს პერსონალურიკომპიუტერი;
2. დაამონტაჟოს პერიფერიული მოწყობილობები;
3. დააინსტალიროს და გამართოს ოპერაციული სისტემი;
4. დააინსტალიროს გამოყენებითი პროგრამული უზრუნველყოფა;
5. უზრუნველყოს ოპერაციული სისტემის უსაფრთხოება;
6. განასხვავოს ქსელების ფუნდამენტური პრინციპები და ტიპები;
7. გაარჩიოს ქსელში ინფორმაციის მიმოცვლის მოდელების (TCP/IP,OSI) შრეები და ამ შრეებზე მომუშავე პორტები და ოქმი;
8. გამართოს მარტივი სადენიანი და უსადენო შიდა ქსელი;
9. შეაფასოს აპარატურული და პროგრამული რისკები და განსაზღვროს პრევენციული ზომები;
10. მოახდინოს აპარატურულიდაპროგრამულიპრობლემისიდენტიფიცირება და აღმოფხვრას გაუმართაობა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - საექთნო განათლება

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ა) ასოცირებული ხარისხი საექთნო საქმეში/Associate Degree in Nursing ***(ამოქმედდება 2020 წლის 29 თებერვლიდან)***

ბ) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში/Fifth Level Vocational Qualification in Nursing ***(მოქმედების ვადა 2020 წლის 29 თებერვალი[1]).***

განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCED)მიხედვით აღნიშნული კვალიფიკაცია განეკუთვნება დეტალურ სფეროს - „საექთნო და სამეანო საქმე“ (კოდი 0913),

მიზანი - ჩარჩო დოკუმენტის მიზანია,უზრუნველყოსადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზეკონკურენტუნარიანი,ზოგად მოვლაზე პასუხისმგებელი ექთანი.

დაშვების წინაპირობა/წინაპირობები - სრული ზოგადი განათლება

კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები - ჯანდაცვის სფერო, სხვადასხვა პროფილის სამედიცინო დაწესებულებები, შინმოვლის სფერო, სხვა ტიპის ორგანიზაციები, რომლებიც საჭიროებს საექთნო მომსახურებას.

დასაქმების პოზიციები:

- ექთანი
- ექთნის ასისტენტი
- ექთნის თანაშემწე
- პრაქტიკოსი ექთანი
- ასოცირებული პროფესიონალი ექთანი

მისანიჭებელი კვალიფიკაციის აღწერა - სწავლის შედეგები

1. შეაფასოს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა;
2. განახორციელოს თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
3. განახორციელოს ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
4. განახორციელოს გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
5. განახორციელოს კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
6. განახორციელოს პერიოპერაციული პაციენტის საექთნო მართვა;
7. განახორციელოს სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა;
8. განახორციელოს პედიატრიული პაციენტის საექთნო მართვა;
9. განახორციელოს და უზრუნველყოს შინმოვლის მომსახურების გაწევა;
10. განახორციელოს და უზრუნველყოს გერიატრიული პაციენტის საექთნო მართვა;
11. დაგეგმოს და განახორციელოს საკუთარი პრაქტიკისადა მოვლის ხარისხის შეფასება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება

შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.

ა) განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

ბ) განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

გ) განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე.

დ) შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.

საგნობრივი პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა)

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) მოიცავს:

- ლექციაზე დასწრება/სამუშაო ჯგუფში მუშაობას;
- პრაქტიკულ მეცადინეობას;
- დამოუკიდებელ მუშაობას;
- სასწავლო-საწარმოო პრაქტიკას;
- გამოცდების (შუალედური, დასკვნითი) ჩაბარებას.

სწავლის დროს ხდება თეორიული და პრაქტიკული სწავლების ინტეგრაცია. სწავლებისას უპირატესობა ენიჭება ახალ ტექნოლოგიებს, ცოდნისა და უნარების შეფასებისას გამოიყენება როგორც ზეპირი, ასევე ტესტური გამოცდები.

პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას;

- (**A**) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (**B**) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (**C**) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (**D**) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (**E**) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (**FX**) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (**F**) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის შეფასება ითვალისწინებს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

პროგრამის ცალკეულ კომპონენტში შუალედური შეფასება შესაძლოა მოიცავდეს შუალედურ გამოცდას, პრეზენტაციას, აქტივობას, საშინაო დავალებას და სხვ.

პროგრამის ცალკეულ კომპონენტში დასკვნითი გამოცდა შესაძლოა გულისხმობდეს: გამოცდის ჩაბარებას, პრაქტიკის ანგარიშის დაცვას ან პრეზენტაციის (ჯგუფური და ინდივიდუალური) წარმოდგენას (საწარმოო პრაქტიკის შემთხვევაში).

პროფესიულ სტუდენტს სასწავლო კურსში კრედიტი ენიჭება თუ განსაზღვრული შეფასების კომპონენტების (შუალედური შეფასებები, დასკვნითი გამოცდა და სხვ.) დაჯამებით უტოლდება მინიმუმ 51 ქულას. შეფასების სისტემის კომპონენტები დადებითად ფასდება, თუ პროფესიული სტუდენტი გადალახავს დადგენილ ქულათა ნახევარს ან/და მეტს.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების (**FX**) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%) მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

პრაქტიკა წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო კომპონენტს. პრაქტიკა შესაძლებლობას აძლევს პროფესიულ სტუდენტს განიმტკიცოს თეორიული კომპონენტით შეძენილი კომპეტენციები (ცოდნა და უნარები). პრაქტიკა არის განაცხადი პროფესიული სტუდენტის მოლოდინის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს, ესმოდეს ან/და რისი დემონსტრირება

უნდა შეეძლოს სწავლის დასრულების შემდეგ. პროფესიული კომპეტენციები, რომლის მიღწევაც არის დაგეგმილი პრაქტიკის ფარგლებში, ზოგადად არის ცოდნის, გაცნობიერების, უნარებისა და შესაძლებლობების დინამიური კომბინაცია. პროგრამის ცალკეულ კომპონენტებში გამოყენებული შეფასების ფორმები და მეთოდები დეტალურადაა გაწერილი შესაბამის სილაბუსში.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის:

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - დადგენილი წესით.

ქართული ენა A2 და ქართული ენა B1

მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

ჩვენ საზოგადოებას ვთავაზობთ ასევე სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამებს. მოკლევადიანი სასერტიფიკატო პროგრამის წარმატებით გავლის შემთხვევაში მსმენელს გადაეცემა კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი. ყოველი სასერტიფიკატო კურსი აგებულია ქვაკუთხედზე, რომ პირმა აითვისოს დამსაქმებლის მოთხოვნებზე მორგებული კონკრეტული უნარები და ცოდნა.

კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს დამსაქმებლებთან და მათი უშუალო ჩართულობითა და რეკომენდაციებით იქმნება თითოეული პროგრამა.

პროგრამის ფარგლებში სავალდებულოა სტუდენტებისათვის კომპიუტერის საოფისე პროგრამების და ინგლისური ენის კურსის გავლა.

არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის (საჭიროებისამებრ) მოქმედებს ქართული ენის შემსწავლელი კურსი.

კოლეჯის სტუდენტები საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ პრაქტიკას გადიან თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილ საწარმოებში და კლინიკებში, სადაც მათ ხელმძღვანელობას უწევენ კვალიფიციური პრაქტიკის ხელმძღვანელები.

პერსონალი

მარნეულის სამედიცინო კოლეჯის ადმინისტრაცია და მასწავლებლები არაინ მაღალკვალიფიციური პროფესიონალები, რომელთაც მუშაობისა და სწავლების დიდი გამოცდილება აქვთ. თუმცა, ჩვენ მუდმივად ვცდილობთ ავამაღლოთ პერსონალის კვალიფიკაცია და პროფესიონალიზმი დსხვადასხვა ტრენინგისა თუ „ვორქშოპის“ მეშვეობით.

ჩვენი მასწავლებლები და ადმისიტრაციული პერსონალი აქტიურად თანამშრომლობს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრთან, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსთან.

ბრენდირება

2017 წელს კერძო კოლეჯების ასოციაციის მიერ განმეორებით ჩატარდა საქართველოს კერძო კოლეჯების ბრენდირება, რაც ითვალისწინებდა სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით ვარსკვლავების მინიჭებას სასწავლებლისათვის. მარნეულის სამედიცინო კოლეჯმა, რომელიც 2016 წლის მდგომარეობით ოთხვარსკვლავიანი კოლეჯის სტატუსს ფლობდა, 2017 წელს **ხუთვარსკვლავიანი სტატუსი** მოიპოვა

2018 წლის მდგომარეობით კოლეჯი კვლავ **ხუთვარსკვლავიან სტატუსს** ფლობს.

პროექტები

მარნეულის სამედიცინო კოლეჯი აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა პროექტში. თანამშრომლობს ბევრ სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციასთან. ასევე, გაფორმებული მემორანდუმების საფუძველზე მჭიდროდ ვთანამშრომლობთ უცხოეთისა და ადგილობრივ პროფესიულ სასწავლებლებთან და ვუზიარებთ ერთმანეთს გამოცდილებასა და ინოვაციებს.

2016 წლიდან დღემდე შემოდგომაზე კოლეჯი ჩართულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ განხორციელებულ „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამაში“, რომლის ფარგლებშიც კოლეჯმა მოიპოვა უფლება და ახორციელებს სხვადასხვა მოკლევადიან სასწავლო კურსებს და მსურველი პირები გადამზადდებიან სხვადასხვა პროფესიაში, რაც რეალურად უწყობს ხელს მათ დასაქმებას.

კოლეჯი ჩართულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ განხორციელებულ „პროფესიული განათლების ხელშწყობის პროგრამის“ „სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების ქვეპროგრამის“ განხორციელებაში. პროექტი გულისხმობს ქალაქ მარნეულსა და მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფლების სკოლებში საექთნო საქმის და საფინანსო სერვისების მოკლევადიანი კურსის სწავლებას სკოლის მოსწავლეებისათვის, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში კარიერული დაგეგმვისა და პროფორიენტაციის ღონისძიებების ხელშეწყობას.

გარდა ზემოჩამოთვლილისა, მარნეულის სამედიცინო კოლეჯი თანამშრომლობს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან და აქტიურად ერთვება მის მიერ განხორციელებულ სხვადასხვა პროექტში. ჩვენი თანამშრომლები არიან განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სამუშაო ჯგუფების წევრები. ასევე, კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს მარნეულის მუნიციპალიტეტთან და აქტიურ მონაწილეობას იღებს სოციალურ აქტივობებში.

პრაქტიკები

ცნობილია, რომ პროფესიული განათლების ქვაკუთხედი არის პრაქტიკული ცოდნა. მარნეულის კოლეჯს გააჩნია თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი და სტანდარტების მქონე პრაქტიკის ბაზები როგორც რაიონის ფარგლებში, ასევე მის გარეთაც. ჩვენი სტუდენტები პრაქტიკულ კომპონენტს ეუფლებიან რეგიონის ლიდერ უძლიერეს კომპანიებთან, როგორიცაა შპს „ავერსის კლინიკა“, შპს „ჯეო-ჰოსპიტალსი“, სს ტერა ბანკი, სს „ გეფა“ და ა.შ

ინფრასტრუქტურა

ჩვენი კოლეჯის მთელს პერიმეტრზე მოქმედებს თანამედროვე უკაბელო ინტერნეტი, ასევე, ინტერნეტითაა აღჭურვილი კლას-კაბინეტები.
კოლეჯში არსებობს:

- კომპიუტერებითა და საჭირო ელექტრონული ტექნიკით აღჭურვილი 2 კომპიუტერული
- ლაბორატორია ,
- საექთნო სასწავლო/სიმულაციური კაბინეტი,
- მოლარის სასწავლო კაბინეტი,
- ფარმაცევტული ლაბორატორია,
- სიმულაციური აფთიაქი,
- საკონფერენციო დარბაზი (სივრცე სტუდენტების ექსტრაკურიკულური აქტივობებისათვის)
- სარეკრეაციო სივრცე სტუდენტებისა და პერსონალისათვის
- ბიბლიოთეკა, რომელიც აღჭურვილია კომპიუტერით, პრინტერით, ბეჭდური და ელექტრონული წიგნადი ფონდით,
- სპეციალური სამედიცინო დახმარების აღმოჩენის კუთხე, სადაც ინახება პირველადი გადაუდებელი დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტები და ამის შესახებ ინფორმირებულნი არიან სტუდენტები და პერსონალი.
- კოლეჯში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმა და ევაკუაციის პროცედურები
- კოლეჯი აღჭურვილია შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით და ცეცხლ-მაქრებით

სტუდენტური ცხოვრება

მარნეულის კოლეჯი სტუდენტებს არ სთავაზობს მხოლოდ ხარსიხიან სასწავლო პროცესს. მრავალფეროვანი სტუდენტური ცხოვრება, სტუდენტის ექსტრაკურიკულური აქტივობები, მისი ნიჭისა და შესაძლებლობები ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის. სტუდენტური კონფერენციები, თემატური პრეზენტაციები, თვითშემოქედებით კონცერტები, წელიწადში მინიმუმ ერთხელ ექსკურსია - ეს არის აქტივობების ის არასრული ჩამონათვალი, რასაც ჩვენს სტუდენტებს ვთავაზობთ. უნდა აღინიშნოს, რომ უშუალოდ სტუდენტებიც ხალისით ერთვებიან აღნიშნულ ღონისძიებებში და ხშირად თვითონაც არიან ინიციატორები.

სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტების მომსახურება

1. მარნეულის სამედიცინო კოლეჯი ინფრასტრუქტურა ადაპტირებულია სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის: კოლეჯის ტერისტორიაზე შემოსვლა შესაძლებელია როგორც პანდუსებით, ასევე ლიფტით; ფუნქციონირებს სსსმ პირებისათვის განკუთვნილი სველი წერტილი. კოლეჯის დებულებაში მკაფიოდ არის გაწერილი სსსმ სტუდენტთა მომსახურების მექანიზმები და გამოყოფილია პასუხისმგებელი პირი ვინც უზრუნველყოფს სსსმ პირის დახმარებას, გადაადგილებას, უსაფრთხოებასა და დაცულობას. კოლეჯის კედლებზე თვალსაჩინოდ გამოკრულია გადაადგილების უნარშეზუდული პირის აღმნიშვნელი ნიშანი, რომლის მიხედვითაც აღნიშნულ პირს შეუძლია დახმარების გარეშე დაადგინოს გადაადგილების მარშრუტი. ზოგიერთ პროფესიულ პროგრამაზე განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტების დარეგისტრირებისას საჭიროების შემთხვევაში დაწესებულება ვალდებულია სამედიცინო სამსახურის ორგანიზებით გამართოს კონსულტაციები პროფესიულ სტუდენტთან და პრაქტიკის ობიექტთან, სასწავლო პროგრამის სრულფასოვნად ათვისების შესაძლებლობის არსებობისა და პირობების უზრუნველყოფის მიზნით;

გისურვებთ წარმატებას!